

მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი მექანიზმები

გიმნაზია სრულად იცავს მოსწავლის უფლებებს და კანონიერი ინტერესებს. ყველა მოსწავლეს აქვთ უფლება მიმართოს გიმნაზიას დარღვეული კანონიერი ინტერესების შესახებ. გიმნაზია მზადაა ნებისმიერი სახის უფლებების დარღვევის შესახებ განცხადების შემთხვევაში მოუსმინოს მოსწავლეს, გაარკვიოს სიმართლე და მიიღოს შესაბამისის ზომები ვისი მხრიდანაც უნდა იყოს მოსწავლის უფლებები დარღვეული, იქნება ეს გიმნაზიის მოსწავლე, მასწავლებლი მშობელი, ნებისმიერი თანამშრომლი თუ რექტორი.

თუ მოსწავლეს მიაყენეს ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა ან სხვაგვარად შელახეს მისი უფლებები, მას შეუძლია გიმნაზიის კანცელარიაში შესაბამისი მიმართვის საფუძველზე მოითხოვოს თავისი ინტერესების დაცვა. მოსწავლეს მიმართვის წარდგენა შეუძლია როგორც დამოუკიდებლად, ისე მშობელის/კანონისმიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

მიმართვა შესაძლებელია წარდგენილ იქნას, როგორც ხელნაწერი, ისე ბეჭდური სახით გიმნაზიის კანცელარიაში. კანცელარია ვალდებულია წარმოებაში მიიღოს დოკუმენტი და წარმდგენს გადასცეს რეგისტრაციის ნომერი და თარიღი ან/და რეგისტრირებული მიმართვის ასლი.

მიმართვის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც მოსწავლის პირადი ელექტრონული ფოსტიდან, გიმნაზიის ელ/ფოსტის მისამართზე mefetamari@yahoo.com გაგზავნით. მიმართვა არ განიხილება თუ მასში არ იქნება მითითებული განმცხადებლის ვინაობა და მისამართი, უფლების დარღვევისა და მოთხოვნის არსი. მიმართვა უნდა იყოს კეთილსინდისიერი და ემსახურებოდეს სიმართლის დადგენას.

მიმართვის რეაგირების პროცედურა:

- ✓ მიმართვის განხილვა;
- ✓ მოსწავლის მოსმენა;
- ✓ თანაკლასელების მოსმენა;
- ✓ მიმართვასთან დაკავშირებულ სხვა პირთა მოსმენა;
- ✓ მტკიცებულებების შეჯერება;
- ✓ სამართლიანობის აღდგენა.

მიმართვის განხილვის ვადაა ერთი თვე;

მოსწავლის მიმართ დაფიქსირებულ პრეტენზიას განიხილავს დისციპლინური კომიტეტი. გიმნაზიის მასწავლებლის, მშობლის ან/და თანამშრომლის მიმართ დაფიქსირებული პრეტენზიას განიხილავს გიმნაზიის რექტორი.

ცრუ ბრალდების შემთხვევაში, რაც არაკეთილსინდისიერი საქციელია, პასუხი მოსწავლეს მოეთხოვება, ყველა ადამიანი პასუხს აგებს საკუთარ საქციელზე.

არასდროს დაიხიო უკან, როცა მიიჩნევ, რომ შენი¹
უფლება ირღვევა.

არ შეგეშინდეს!

შენი ყველა უფლება დაცულია!

შენ აუცილებლად მოგისმენენ!

სიმარარასდროს დაიხიო უკან, როცა მიიჩნევ, რომ
შენი უფლება ირღვევა.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

ბავშვის დახმარების ცხელი ხაზი - 111

ზარი უფასოა